გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 33

2023 წლის 10 თებერვალი
ქ.გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილების 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, მერიის საქმიანობაზე, თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვასა და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულებაზე ახორციელებს კონტროლს. აღნიშნული კონტროლის განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ანგარიშის მოსმენა, რომელიც გაწერილია საკრებულოს სამუშაო გეგმებში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილების 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილების 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში (დანართი თან).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილების 2022 წლის სამუშაო ანგარიში

ტრანსპორტისა და გარე რეკლამის რეგულირების განყოფილებაში მუშაობს სამი თანამშრომელი: განყოფილების უფროსი და ორი სპეციალისტი. განყოფილებამ 2022 წელს განყოფილების მიერ შეიმუშავებული ტექნიკური დავალების შესაბამისად ჩაიბარა ქალაქ გორში შუქნიშნების პროექტი. საპროექტო ორგანიზაციასთან შპს „პროექტირებისა და ექსპერტიზის ცენტრთან" დადებული ხელშეკრულების ღირებულება შეადგინა 17 936.00 (ჩვიდმეტი ათას ცხრაას ოცდათექვსმეტი) ლარი, პროექტის შედგენაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა განყოფილება, ხოლო პროექტით განსახორციელებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვამ შეადგინა 431848,67 ლარი, კერძოდ მომზადა შემდეგი ლოკაციების პროექტები :

ა) სტალინის გამზირისა და თამარ მეფის ქუჩის გადაკვეთაზეარსებული შუქნიშნების დემონტაჟის სამუშაოებისა და ახალი შუქნიშნების პროექტირება/ ხარჯთაღრიცხვა;

ბ)ცხინვალის გზ. და ტყვიავის, პუშკინის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული შუქნიშნების დემონტაჟის სამუშაოებისა და ახალი შუქნიშნების პროექტირება/ ხარჯთაღრიცხვა;

გ) ჭავჭავაძის გამზირისა და გურამიშვილის ქუჩის გადაკვეთაზე ახალი ქვეითთა შუქნიშნის პროექტირება/ხარჯთაღრიცხვა.

2022 წელსვე გამოცხადა ტენდერი ორ ლოკაციაზე: სტალინის გამზირისა და თამარ მეფის ქუჩის გადაკვეთაზე და ცხინვალის გზ. და ტყვიავის, პუშკინის ქუჩების გადაკვეთაზე თანხით 365119,56 ლარი. რომელიშიც გაიმარჯვა შპს „გზაჯვარედინმა" და ამჟამად მიდის ახალი შუქნიშნების სამონტაჟო სამუშაოები და დასრულდება მიმდინარე წლის თებერვლის თვეში, რომესაც ზედამხედველობას უწევს განყოფილების თანამშრომლებისგან შემდგარი ინსპექტირების ჯგუფი.

გორის მუნიციპალიტეტის ზოგიერთ ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის მოწესრიგების და უსაფთხოების მიზნით საჭიროა საგზაო მონიშვნების დახაზვა, აქედან გამომდინარე განყოფილებამ მოამზადა სტალინის გამზირის საგზაო ჰორიზონტალური მონიშვნების სახეობების და მოცულობითი უწყისი რომელიც გადაეცა შესყიდვების განყოფილებას ტენდერის გამოცხადების მიზნით.

განყოფილების მიერ მომზადებული პროექტის მიხედვით გამოცხადა ტენდერი 60 ათასი ლარის ავტომობილის სიჩქარის შემანელებელი ხელოვნური უსწორმასწორობების შემადგენელი მასალების, შესაბამისი საგზაო ნიშნებით შესყიდვაზე,რომელში გაიმარჯვა შპს „თბილისმა" თანხით- 58997.25 (ორმოცდათვრამეტიათას ცხრაასოთხმოცდაჩვიდმეტი ლარი და 25 თეთრი) ლარი და შესყიდული იქნა 230,4 გრძივი მეტრი ავტომობილის სიჩქარის შემანელებელი ხელოვნური უსწორმასწორობა 108 საგზაო ნიშანი თავისი დგარებით, რომელიც ჩაბარებული იქნა განყოფილების თანამშრომლებისგან შემდგარი ინსპექტირების ჯგუფის მიერ.

განყოფილების მიერ, შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო და კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტების შიდა ქართლის სამმართველოებთან ერთად შესწავლილი და მომზადებული იქნა საგზაო ნიშნების განთავსების საკითხი გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, რომლის შედეგადაც გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულომ წლის განმავლობაში გამოსცა 22-მდე განკარგულება და გორის მუნიციპალიტეტში დამატებით მოეწყო 36-მდე საგზაო ნიშანი და აბრა.

განყოფილების მიერ შესწავლილი იქნა გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე საერთაშორისო და შიდასახელმწიფო მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკითხები და აქედან გამომდინარე გორის მუნიციპალიტეტის მერიამ წლის განმავლობაში რამდენჯერმე მიმართა თხოვნით საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს, რის შედეგადაც დეპარტამენტმა გორის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, ათეულობით ლოკაციაზე დაამონტაჟა ან აღადგინა ავტომობილის სიჩქარის შემანელებელი ხელოვნური უსწორმასწორობები, საგზაო ნიშნები და აბრები.

ტრანსპორტისა და გარე რეკლამის განყოფილებამ, ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოსთან" ერთად, შეიმუშავა მუნიციპალურ მარშრუტებზე ცვლილებები, სატესტო რეჟიმში მიმდინარეობდა რიგი მარშრუტებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებების დადგენა, დღეის მდგომარეობით დადგენილია მუნიციპალური ტრანსპორტისათვის 16 მარშრუტი და 202 საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერება, რომელიც საკრებულომ დაანტკიცა და 2022 წელში დამონტაჟდა და დაიხაზა საზოგადოებრივი გაჩერებების საგზაო ნიშნები და საგზაო ჰორიზონტალური მონიშვნები. განყოფილება აგრეთვე მონაწილეობას იღებს მუნიციპალური ტრანსპორტის მუშაობის გრაფიკების, სვლა-გეზების და ხარჯთაღრიცხვის შედგენაში და მონიტორინგს უწევს ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სააგენტოს".

განყოფილება 2022 წლის განმავლობაში და ამჟამადაც ინსპექტირებას უძევს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „დელტა კონსალტინგს"- შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომლის საგანია 28 ავტომობილის სახელმწიფო ნომრის ამომცნობი ვიდეო და 123 ზოგადი ხედვის კამერების მოვლა პატრონობა.

2022 წელს გორის მუნიციპალიტეტის მერიამ შეისყიდა ახალი ვიდეო სამეთვალყურეო კამერები, რომლის ღირებულებამ შეადგინა 277 ათასი ლარი და შესყიდული იქნა 11 მართვადი და 9 ავტომობილის სახელმწიფო ნომრის ამომცნობი ვიდეო კამერები, რომლებიც განთავსდა გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ საერთაშორისო, შიდასახელმშიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე და მიღება-ჩაბარება განახორციელა განყოფილების თანამშრომლებმა, ამჟამად განყოფილების მიერ მუშაობა მიმდინარეობს დამონტაჟებული კამერების მიდებარედ სპეციალური გამაფთხილებელი და სიჩქარის შემზღუდავი საგზაო ნიშნების განთავსებაზე, რის შემდეგადაც ახალი კამერები ჩაირთვება ქსელში.

განყოფილება ასევე კურირებს ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს" პარკირების განყოფილებას.

განყოფილებაში მიმდინარე წელს შემოსულია 294 წერილი და კორესპოდენცია, რომელზეც დროულად განხორციელდა რეაგირება.